პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ივლისი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 155 (14759)

გუშინ მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1970 წლის 3 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ი. ბოდიული — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. კ. ბაიბაკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, თ. ს. გორიაჩევი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ზ. ნ. ნურიევი — სსრ კავშირის დამზადების მინისტრი, ტ. უსუბალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. თ. ვასილიევი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. კოსტანდოვი — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. შიბაევი — სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. მაცკევიჩი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ნ. მ. მიროშნიჩენკო — სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. დოლგიხი — სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. ალექსეევსკი — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი, მ. მ. კობილჩაკი — უკრაინის კომპარტიის კიროვოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1970 წლის 3 ივლისის

დადგენილება

პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამთავრებს მიმდინარე ხუთწლედის გეგმის შესრულებას. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მეცადინეობის მეოხებით ამ წლების მანძილზე მიღწეულია დიდი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს. ქალაქის მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით მიაღწიეს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალოწლიური საერთო წარმოება 1966-1969 წლებში შეადგენდა 79 მილიარდ მანეთს, რაც 12,7 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

დადებითი ძვრებია მიღწეული სოფლის მეურნეობის მთავარი დარგის — მარცვლეულის წარმოების განვითარებაში. 1966-1969 წლებში მარცვლეულის საერთო მოსავალმა შეადგინა 162 მილიონი ტონა საშუალოდ წელიწადში და 32 მილიონი ტონით, ანუ თითქმის 25 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1961-1965 წლებში. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაც. ამ წლების მანძილზე გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიის ხაზი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის — ყველა სამუშაოს მექანიზაციისა და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენებისათვის, მიწების მელიორაციისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში ეკონომიური სტიმულების ამაღლებისათვის. გაიზარდა კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, გადიდდა სოფლისათვის ტრაქტორების, მარცვლეულის ასაღები კომბაინების, ავტომანქანებისა და სხვა ტექნიკის მიწოდება. ხუთწლედის ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობამ მიიღო, 1,8-ჯერ მეტი მინერალური სასუქები, ვიდრე წინა ოთხწლეულში. ხორციელდება მიწების მელიორაციის პროგრამა. ამ ბოლო ოთხ წელიწადში ბრუნვაშია მოქცეული 1,2 მილიონი ჰექტარი ახალი სარწყავი და 3,1 მილიონი ჰექტარი ამოშრობილი მიწები.

გრძელდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება და ამ საფუძველზე უმჯობესდება სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. სოფლად მიმდინარეობს საბინაო, კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის აქტიური პროცესი.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაში ამ ბოლო წლების მანძილზე მიღწეულია არსებითი შედეგები. მაგრამ თუ მისი განვითარების ამ შედეგებს შევაფასებთ კვების პროდუქტებსა და მრეწველობისათვის საერთო ნედლეულზე ქვეყნის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოზიციებიდან, მაშინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლანდელი დონე საკმაოდ არ შეიძლება ჩაითვალოს. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპები, ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება სოფლის მეურნეობას უყენებს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსწრაფესად განმტკიცება, მისი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, მინერალური სასუქების კმარობა, მელიორირებულ მიწების უმნიშვნელო ხვედრითი წონა, მეცხოველეობის სუსტი უზრუნველყოფა საკვებით, გადამუშავებელი მრეწველობის ჩამორჩენა, აგრეთვე მეურნეობის გაძღოლის ჯერ კიდევ დაბალი კულტურა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილში შემაფერხებელ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპებზე.

მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სუსტად წარმართავენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, რომ უფრო სრულად გამოიყენონ რეზერვები პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ურიგდებიან უყაირათობის, გეგმების შესრულებაში უდისციპლინობის ფაქტებს, მიწების არარაციონალურ გამოყენებას ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სოფლის მეურნეობასთან. ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც ჯერ კიდევ დაბალია მოსავლიანობა, ცუდად იყენებენ მიწას, ტექნიკას, სასუქებსა და სხვა მატერიალურ რესურსებს, ნელა იზრდება პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცოტა სახსრებს გამოჰყოფენ ძირითადი ფონდების განმტკიცებისა და წარმოების გაფართოებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნას დასკვნები და წინადადებანი, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში“.

სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცების საფუძველზე უახლოესი პერიოდის ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი ამოცანაა. საჭიროა გავაუმჯობესოთ მიწისა და ტექნიკის გამოყენება, ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

2. მიწათმოქმედების დარგში ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მოწყობა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლებისათვის და მარცვლეულს, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა პროდუქტების წარმოების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფისათვის. მომავალ ხუთწლედში საჭიროა არსებითად ავამაღლოთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, რათა მთლიანად ქვეყანაში მოსავლიანობა ჰექტარზე გავადიდოთ სულ ცოტა ოთხი ცენტნერით. საჭიროა აგრეთვე გავზარდოთ ტექნიკური, საკვები და სხვა კულტურების მოსავლიანობა. ამ მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების, ყველაზე მოსავლიანი ჯიშების დანერგვის, თესლბრუნვის ათვისების, მოსავლის დანაკარგების აღმოფხვრის ეფექტიან ღონისძიებათა სისტემა.

ძირითად პრობლემად კვლავ რჩება მარცვლეულის წარმოების ზრდა. მომავალ ხუთწლედში მარცვლეულის საშუალოწლიურმა საერთო მოსავალმა უნდა შეადგინოს 195 მილიონი ტონა.

დადგინდეს 1971-1975 წლებისათვის მარცვლეულის შესყიდვის მყარი, უცვლელი გეგმა წელიწადში 60 მილიონი ტონის ოდენობით.

უნდა დარჩეს მარცვლეულის ზეგეგმითი შესყიდვის წახალისების პრინციპი, რომელიც მიღებულია ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე, და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ზეგეგმითი მიყიდვისათვის მიეცეთ დანამატი ძირითადი შესასყიდი ფასის 50 პროცენტის ოდენობით.

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ყველა ღონისძიება განახორციელონ იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც სასაქონლო მარცვლეულს აწარმოებს, თვითეულმა ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ არამარტო შეასრულოს მტკიცე გეგმა, არამედ ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდოს სულ ცოტა 35 პროცენტი მარცვლეული.

მნიშვნელოვნად გაადიდონ 1971-1975 წლებში ხამი ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სელის ბოჭკოს, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, კენკრის, ყურძნის, ჩაისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა.

3. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ იმისათვის მიღებული ღონისძიებანი, რომ ამაღლდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესება ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებისათვის და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს გადაჭრით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მეცხოველეობაში, უზრუნველყონ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლება, ამასთანავე გაზარდონ მათი სულადობა.

ფართოდ განავითარონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სამრეწველო საფუძველზე. მომავალ ხუთწლედში განახორციელონ ქალაქების ახლოს ღორის ხორცის წარმოების, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სუქებისა და რძის წარმოების დიდი კომპლექსების მშენებლობა, ააშენონ აგრეთვე მეფრინველეობის ახალი ფაბრიკები, შექმნან მეცხვარეობის მექანიზებული ფერმები.

ყოველწლიურად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა. დადგინდეს 1975 წლისათვის პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა — 16 მილიონი ტონა (ცოცხალი წონა), რძისა — 55 მილიონი ტონა, კვერცხისა — 26 მილიარდი ცალი, მატყლისა (ჩასათვლელი წონა) — 470 ათასი ტონა. უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ისეთი გადიდება, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ყოველწლიურად მიჰყიდოს სულ ცოტა 8-10 პროცენტი პროდუქცია გეგმის გადამეტებით.

მნიშვნელოვნად გაადიდონ ყველა სახეობის საკვების — თივის, ნათესი თივის, სილოსის, ბალახის ფხვნილის, ძირხვენების წარმოება, რათა სრულად უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, აგრეთვე პირუტყვი, რომელიც კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს პირად საკუთრებაში ჰყავთ. უნდა გაფართოონ მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოები, შექმნან მაღალპროდუქტიული კულტურული საძოვრები. გაადიდონ ცილებით მდიდარი კულტურების — იონჯის, სამყურას, ბარდის, ცერცველას, ხანჭკოლას, სოიის ნათესები. განახორციელონ ბალახების მეთესლეობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი.

უზრუნველყონ კომბინირებული საკვების მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, განახორციელონ მოქმედი სახელმწიფო კომბინირებული საკვების ქარხნების რეკონსტრუქცია და ააშენონ ახალი ქარხნები. მოაწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ეკონომიური ავტომატიზებული კომბინირებული საკვების აგრეგატების მასობრივი წარმოება.

გაითვალისწინონ ძვალ-ხორცის ფხვნილისა და თევზის ფხვნილის, მშრალი მოხდილი რძის, საკვები საფუარე-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ა. გ. ნიკოლაევის „ოქრის ვარსკვლავის“ მეორე medlით დაჯილდოების შესახებ

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდით ხანგრძლივი ორბიტული ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი დაჯილდოვდეს „ოქრის ვარსკვლავის“ მეორე medlით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 3 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კოსმონავტ მფრინავ ამხ. ვ. ი. სევასტიანოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს medlის მინიჭების შესახებ

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდით ხანგრძლივი ორბიტული ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის კოსმონავტ მფრინავს ამხ. ვიტალი ივანეს-ძე სევასტიანოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და „ოქრის ვარსკვლავის“ medალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 3 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ი. სევასტიანოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

„სოიუზ-9“ ხომალდით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ამხ. ვიტალი ივანეს-ძე სევასტიანოვს მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 3 ივლისი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1970 წლის 3 ივლისის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ბის, ფერმენტების, ვიტამინებისა, ანტიბიოტიკებისა და კონსერვანტების წარმოება, ამისათვის დაუწესონ გადიდებული დავალებანი რძისა და ხორცის, თევზის, კვების, ცელულოზა-ქაღალდისა და მიკრობიოლოგიურ მრეწველობას.

4. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმების სწორ დადგენას მომავალი ხუთწლედის ყველა წლისათვის. შესყიდვის მტკიცე გეგმები უნდა იყოს ყოველმხრივ დასაბუთებული, მთლიანად უნდა ითვალისწინებდეს თვითეული მეურნეობის შესაძლებლობებს, ბუნებრივ და ეკონომიურ თავისებურებებს, მის სპეციალიზაციას, აგრეთვე ახალი ტექნიკის, მინერალური სასუქების მიღებას, მელიორირებული მიწების ფართობების გადიდებას.

პლენუმი სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი, საბჭოთა და პარტიული ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ არის კუთხურობის, ულმისციპლინობის ფაქტები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. და მოითხოვს გადაჭრით აღკვეთონ ამგვარი მოვლენები. მარცვლეულის, აგრეთვე სხვა პროდუქტების შესყიდვის ტკბილი გეგმა საკალდებულოა ყველასათვის. იგი არ შეიძლება იცვლებოდეს და არ შეიძლება არ სრულდებოდეს. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა პროდუქტის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება და აქტიური მონაწილეობა ზეგეგმითი პროდუქციის გაყიდვაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უპირველესი მოვალეობაა.

5. მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, რომ ახალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის — საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, ტექნიკის შეძენისათვის გამოიყოს 77.6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, აქედან 45.9 მილიარდი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის.

გაითვალისწინონ ხუთწლიან გეგმაში კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა სრული უზრუნველყოფა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით 43 მილიარდი მანეთის ოდენობით, აქედან 28 მილიარდი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წლიური გეგმების შესრულების პროცესში გამოძებნონ და სოფლის მეურნეობის განვითარებას მოახმარონ დამატებითი საშუალებანი და მატერიალური რესურსები.

6. ხუთწლედის დამლევისათვის მინერალური სასუქების წარმოება გაადიდონ სულ ცოტა 90 მილიონ ტონამდე და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა — 450 ათას ტონამდე. გაითვალისწინონ ქიმიური და მიკრობიოლოგიური მრეწველობის ახალი ქარხნების მშენებლობა და მოქმედი საწარმოების გაფართოება. სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდება 1975 წელს გაადიდონ სულ ცოტა 72 მილიონ ტონამდე და საკვები ფოსფატებისა — 3 მილიონ ტონამდე.

ამაღლონ მინერალური სასუქების ხარისხი, გაადიდონ კომპლექსური, მაღალკონცენტრირებული სასუქების მოწოდება. მკვეთრად გაზარდონ მინერალური სასუქების გადასაზიდი სპეციალური ვაგონებისა და ავტომობილების და შესაფუთი ტარის გამოშვება, გააფართოონ ამ სასუქების საცავი ბაზების მშენებლობა. განახორციელონ ღონისძიებანი, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკეთ გამოიყენონ მინერალური და ორგანული სასუქები და გაზარდონ მათი გამოყენების ეფექტიანობა.

7. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მიწების მელიორაციის განვითარებას. მომავალ ხუთწლეულში უნდა შევასრულოთ შემდეგი მოცულობის სამელიორაციო სამუშაოები: ავამოქმედოთ 3 მილიონი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები; ავაშენოთ სამელიორაციო სისტემები გადამეტტენიანებულ რაიონებში 5 მილიონ ჰექტარ ფართობზე, მათ შორის დახურული დრენაჟით 3 მილიონ ჰექტარზე; ძირეულად გავაუმჯობესოთ მდელოები და საძოვრები სულ ცოტა 8 მილიონ ჰექტარ ფართობზე; განვახორციელოთ წყლით უზრუნველყოფის ამაღლების სამუშაოები და ძირითადად დავამთავროთ არსებული სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია, რომლებიც ტექნიკურ გაუმჯობესებას საჭიროებენ.

გავაძლიეროთ უკრაინის სამხრეთ ნაწილში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონებსა და ვოლგისპირეთში სარწყავ მიწებზე სასაქონლო მარცვლეულის წარმოების მსხვილი რაიონების შექმნის სამუშაოები. მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ბრინჯის ნათესები. დავაჩქაროთ წყალსამეურნეო მშენებლობის ტემპები ბამბისმთესველ რაიონებში. ფართოდ გავაჩაღოთ მიწების მელიორაცია რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიან ზოლში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირსა და ურალში, უკრაინის, ბელორუსიის პოლესიეში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. გავაუმჯობესოთ მელიორირებული მიწების გამოყენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უზრუნველვყოთ ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მინდორსაცავი ტყეების გაშენების სამუშაოთა კომპლექსის უფრო ფართოდ განხორციელება.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1971-1975 წლების სამელიორაციო სამუშაოთა პროგრამის შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

8. ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია უახლოეს წლებში უზრუნველყოს სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება, ამ დარგებში შექმნან დამატებითი საწარმოო სიმძლავრენი, რათა მნიშვნელოვნად გაადიდონ ახალ ხუთწლედში ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების გამოშვების გადიდების ამოცანის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მრეწველობის ყველა დარგმა.

პლენუმი იწონებს საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, გემთსამშენებლო მრეწველობის სამინისტროს, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროების საწარმოთა ინიციატივას, რომ მოაწყონ და გაადიდონ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების, მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების წარმოება სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საშრეწველო სამინისტროებს, ქარხნების დირექტორებსა და პარტიულ ორგანიზაციებს გამოიყენონ საწარმოებში არსებული შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გაადიდონ კოოპერაციით სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეგატების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

სამინისტროებმა და უწყებებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა განახორციელონ ღონისძიებანი კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო უფრო სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვებისათვის. მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მანქანებისა და მექანიზმების ხარისხი, საიმედოობა და ხანგაძლეობა.

9. 1971-1975 წლებში სოფლის მეურნეობას უნდა მიეცეს 1.700 ათასი ტრაქტორი, 1.100 ათასი სატვირთო ავტომობილი, 541 ათასი მარცვლის ასაღები კომბაინი, 230 ათასი სილოსის ასაღები და 60 ათასი ჭარხლის ასაღები კომბაინი, 1.500 ათასი ტრაქტორის მისაბმელი, 87 ათასი ექსკავატორი, 82 ათასი ბულდოზერი, 42,5 ათასი სკრეპერი და 15 მილიარდი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის 6 მილიარდი მანეთისა — მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა და საკვების დამზადებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, ამ მიზნით სოფლის მეურნეობას მიაწოდონ მანქანებისა და მექანიზმების საჭირო კომპლექსები.

განახორციელონ ღონისძიებანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალი წარმადობით გამოყენებისათვის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და „საკსოფლტექნიკის“ ორგანიზაციების საერემონტო ბაზის, აგრეთვე ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების განმტკიცებისათვის.

ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზატორთა მუდმივ კადრებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოს შეიმუშაოს რადიკალური ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში ამ კადრების შენარჩუნებისათვის, ამასთან შეუქმნას მათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, გაზარდოს მათი მატერიალური დაინტერესება და გააძლიეროს მორალური სტიმულები, აგრეთვე გააუმჯობესოს მათი ყოფაცხოვრება.

10. მომავალ ხუთწლედში განახორციელონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი გაფართოების ღონისძიებანი. გაითვალისწინონ მოქმედი ელევატორების, წისქვილკომბინატების, ხორცისა და რძის, კვების, მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა რეკონსტრუქცია და ახალ საწარმოთა მშენებლობა, მათი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით; უზრუნველყონ მათი სწორი განლაგება, ამასთან გაითვალისწინონ ყველაზე რაციონალური დაახლოება შესაბამისი პროდუქტებისა და ნედლეულის მწარმოებელ რაიონებთან.

11. გაითვალისწინონ, რომ უახლოეს წლებში სოფლად უნდა შესრულდეს სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამა, და განახორციელონ ღონისძიებანი სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოო ბაზის განმტკიცებისათვის იმ ვარაუდით, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ამ სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები სოფლად ასრულებდნენ სულ ცოტა 5.5 მილიარდი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს წელიწადში.

ჩაბან სხვა სამინისტროები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ობიექტების მშენებლობაში. ამასთან განსაზღვრონ საჭიროო სამუშაოთა კონკრეტული მოცულობა. ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, უზრუნველყონ ისინი ტექნიკით, მოწყობილობითა და საჭირო მასალებით. განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო ობიექტების პროექტირების ძირეული გაუმჯობესებისა და პროექტების ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი. გაზარდონ საშენ მასალათა წარმოების სიმძლავრენი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყონ სასოფლო მშენებლობის სულ უფრო მზარდი მოკლულობა.

12. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს მეცნიერული კვლევა სოფლის მეურნეობაში, გაფართოვდეს და განმტკიცდეს მეცნიერების კავშირი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებასთან. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას განახორციელონ ღონისძიებანი სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტიული პრობლემების გადაჭრა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების, მაღალპროდუქტიული ჯიშების პირუტყვის გამოყვანა და ულუფრაფეტად დანერგვა, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის თვითეული სახეობის პროდუქციის წარმოების ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური ტექნოლოგიური პროცესებისა და მექანიზაციის ახალ საშუალებათა შემუშავება. გააძლიერონ მცენარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების, განსაკუთრებით მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებათა კვლევა და წარმოებაში დანერგვა. განამტკიცონ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

13. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული ორგანიზაციების, პარტიისა და სახელმწიფოს მთელი კადრების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა განამტკიცონ დისციპლინა, გაზარდონ პირადი პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის, საბჭოთა კანონების განუხრელად დაცვისა და შესრულებისათვის. სოფლის მშრომელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწის კანონის, კოლმეურნეობის ახალი წესდების დაცვას.

პლენუმი მოითხოვს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, „საკსოფლტექნიკა“, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტრო და მათი ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ყველა მუშაკი გადაჭრით ებრძოლონ უყაირათობასა და მფლანგველობას მიწების, სახელმწიფო და საკოლმეურნეო სახსრების გამოყენებაში, კუთხურობისა და სხვის ქმაყოფაზე ყოფნის განწყობილებათა გამოვლინებებს. საჭიროა ბეჯითად დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, გავაძლიეროთ კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობისადმი. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობათა საბჭოებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტებმა.

14. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის დიდ მეცადინეობას, მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის დონის ამაღლებას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორიც არის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლება, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა დანერგვა, კაპიტალური დაბანდებების, მიწის, ტექნიკის, სასუქებისა და სხვა მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ეფექტიანი გამოყენება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ზრდის უზრუნველყოფა, სოფლად ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება.

მრეწველობის საწარმოთა და მშენებლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ სოფლის მეურნეობისათვის მიცემული დავალებების დროულ შესრულებას, გამოძებნონ სოფლისათვის მანქანებისა და მოწყობილობის, სასუქების, საშენი და სხვა მასალების მიწოდების გადიდების დამატებითი რეზერვები და წყაროები, აქტიურად შეუწყონ ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ შეჯიბრება სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებს ერთსულოვნად მოიწონებს ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება ახალი დიდი წვლილი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

---

4 ივლისი საერთაშორისო კოოპერაციის დღე

ა ლ ი ა ნ ს ი

ყოველი წლის ივლისის პირველ შაბათს ჩვენი პლანეტის დიდსა და პატარა ქვეყანაში, სადაც კოოპერაციული ორგანიზაციები არსებობენ, აღნიშნავენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. წელს ეს დღე ორმოცდამერვეჯერ აღინიშნება.

კოოპერატორთა საერთაშორისო მოძრაობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს კოოპერატორებს. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯავახიძე უკვე მეორედ იქნა არჩეული საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ჩვენი ბაზომის კორესპონდენტი ამ დღეებში შეხვდა ამს ნ. ჯავახიძეს და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

— გთხოვთ მოკლედ გაგვაცნოთ, რას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაცია ალიანსი და როგორია მისი დანიშნულება?

1895 წელს ქ. ლონდონში შეიდგა ევროპის ქვეყნების კოოპერატორთა პირველი კონგრესი., რომელმაც ამცნო სამყაროს კოოპერაციის ახალი საერთაშორისო გაერთიანების — ალიანსის შექმნა. ახალმა გაერთიანებამ მიზნად დაისახა დაეცვა კაპიტალისტური შეიმტვრევისაგან მუშათა, გლეხთა, წვრილ მრეწველთა ინტერესები, იმათი ინტერესები, ვინც თავისი შრომა კოოპერაციაში გაეერთიანა.

პირველი კონგრესიდან დიდმა დრომ განვლო წელს საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი თავისი არსებობის 75 წლისთავს ადაღიდის ქ. ლონდონში, იმ შენობაში. სადაც შედგა მისი პირველი კონგრესი. ამ ხნის განმაღლობაში ბევრი რამ შეიცვალა როგორც ალიანსის სტატუტის, ისე მისი ამოცანების მხრივ.

ამჟამად ალიანსის შემადგენლობაში გაერთიანებული არიან მსოფლიოს ყველა კონტინენტის 45 სახელმწიფოს კოოპერატორები.

— ბიმ ვერ გვეტყვით, რატომ არ არის ყველა სახელმწიფო გაერთიანებული ალიანსის შემადგენლობაში.

— ამის მიზეზი ბევრი განლავთ, მაგრამ მთავარი მაინც შემდეგია. ჯერ ერთი, ყველა ქვეყნის კოოპერატორებს არა აქვთ მატერიალური საშუალებანი გაიღონ ალიანსის წევრობასთან დაკავშირებული ხარჯები, მეორეც, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ნებას არა რთავს თავიანთ კოოპერატორებს მონაწილეობა მიიღონ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში და, ბოლოს, არსებობს დისკრიმინაცია მთელი რიგი ქვეყნების და პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების მიმართ ალიანსის ხელმძღვანელობის მხრივ.

— როგორია საზღვარგარეთის ქვეყნების კოოპერაციულ ორგანიზაციებთან საბჭოთა კოოპერატორების ურთიერთობის ფორმები და მეთოდები?

— უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კონტაქტების ფორმები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი ხელს უწყობენ არა მარტო გამოცდილების გაზიარებას, არამედ სხვადასხვა ქვეყნის კოოპერატორთა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, მეგობრობის განმტკიცებას, კოოპერაციული მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცებას. ფართოვდება დელეგაციების ურთიერთგაცვლა საზღვარგარეთის კოოპერაციულ ორგანიზაციებთან. მარტო გასულ წელს ჩვენს კოოპერატორებს იწვია საზღვარგარეთის 68 კოოპერაციული ორგანიზაცია. ხოლო საზღვარგარეთ გაემგზავრა ცენტროსოიუზის 40 დელეგაცია. იხარდება ტურისტული ურთიერთობა.

ვითარდება აგრეთვე საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეო-ეკონომიური ურთიერთობა. ამჟამად ცეკავშირი სხვადასხვა საქონლის აწვდის 24 სახელმწიფოს.

საქართველოს კოოპერატორები ძალღონეს არ იშურებენ კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ყველა ქვეყნის კოოპერატორთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მ ს ო ფ ლ ი ო დ ღ ე ს

გ უ ლ ი თ ა დ ი შ ე ხ ვ ე დ რ ა

ბონნი, 8 ივლისი. (საკდესი). 1970 წლის 1 ივლისი ისტორიული ნიშანსვეტად იქნება საბჭოთა კავშირისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებაში. ასე განმარტავს ბონგის რადიო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟან ბედელ ბოკასას ოფიციალურ ვიზიტს საბჭოთა კავშირში. ადგილობრივმა რადიომ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა გულთბილი და გულითადი შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირში ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოს მეთაურს, გამოაყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მიერ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ სადილზე წარმოთქმული სიტყვის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხალხთა, ისევე როგორც აფრიკის სხვა ხალხების ბრძოლას, რომლებიც იღვწიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეკონომიური და კულტურული პროგრესისათვის“ და რომ, „ავითარებს რა ყოველმხრივ თანამშრომლობასა და საქმიან ურთიერთობას აფრიკის ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირი არ უყენებს არავითარ პირობას და არ ეძებს არავითარ უპირატესობას“.

რ. ნიქსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 2 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი ტელევიზიაში გამოვიდა ინტერვიუთი, რომელიც მიეძღვნა შეერთებული შტატების პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

სამი უდიდესი სატელევიზიო კომპანიის კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხში პრეზიდენტი კვლავ და კვლავ ამართლებდა ამერიკის ჯარების შეიარაღებულ ინტერვენციას ნეიტრალურ კამბოჯაში. ისევე როგორც წინათ, ნიქსონი ამტკიცებდა, რომ ეს შეჭრა, რასაც მოქყვა სამარი კონფლიქტის გაფართოება ინდოჩინეთში, თითქოს გამოწვეული ყოფილიყო იმით, რომ უზრუნველეყოთ ამერიკელ ჯარისკაცთა უშიშრობა სამხრეთ ვიეტნამში.

პრეზიდენტმა უკმაყოფილება გამოთქვა ორი დღის წინათ სენატში მიღებული სენატორების კუპერ-ჩერჩის შესწორების გამო, რომელიც კრძალავს კამბოჯაში ამერიკის არმიის საომარი ოპერაციების დაფინანსებას, მოუწოდა წარმომადგენლთა პალატას ისეთი ცვლილებები შეიტანოს ამ შესწორებაში, რომლებიც სრულიად არარად აქცევდნენ მას. დამახასიათებელია, რომ ნიქსონმა გადაჭრით უარი თქვა გარკვევით განეცხადებინა, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ გაიმეორებს კამბოჯაში შეიარაღებულ შეჭრას.

ნიქსონი იდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის ავიაციას აქვს რაღაც „უფლება“ დაზვერვის მიზნით იფრინოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და იმუქრებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „გამოიყენებს თავისი ავიაციის ძალას“, რათა დაარტყას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საპაერო თავდაცვას.

პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ დღევიდ ბრიუსი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურად პარიზის თათბირზე ვიეტნამის შესახებ. ამასთანავე მისი პასუხებიდან გამომდინარეობს, რომ შეერთებულ შტატებს წინანდებურად იმედი აქვს აწარმოოს მოლაპარაკება „ძალის პოზიციიდან“, რათა მიაღწიონს მეორე მხარეს მოწესრიგების თავისი პირობები.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ნიქსონმა აღიარა, რომ ამ რაიონში შეიქმნა ფრიად საშიში სიტუაცია. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ყბადაღებული „ძალთა წონასწორობის“ დაცვის საბაბით იგი მოითხოვდა ისეთი მდგომარეობის უზრუნველყოფას, როცა საშხედრო უპირატესობა ისრაელ აგრესორთა მხარეზე იქნება.

ძ ვ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა

ვაშინგტონი, 3 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის გამოსვლა ტელევიზიით, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ახლო აღმოსავლეთში, სასტიკად გააკრიტიკეს კონგრესში და ამერიკის პრესაში.

„პრეზიდენტი კვლავ იმ ილუზიების ტყვეობაშია, — გვწანცხადა სენატორმა მაკგოვერნმა, — რომლებიც აი უკვე 10 წელია ჩვენს ქვეყანას აჩერებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ილუზიებისა, რომლებიც უკვე მრავალი ათასი ახალგაზრდა ამერიკელის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა და რომლებიც გამოიწვევენ ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ათასობით მოქალაქის დაღუპვას“.

სენატორმა მასკიმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მისწრაფება ინდოჩინეთის კომფლიქტი გადაჭრას ძალის საშუალებით. „პრეზიდენტი ნიქსონი, — განაცხადა მან, — აპირებს კვლავ სამხედრო ზეგავლენა მოახდინოს ვიეტნამზე“, ამგვარ პოლიტიკას ხაზი გაუსვა სენატორმა „შესაძლოა მეტად საშიში შედეგები მოჰყვეს, არაფერი რომ აღარა ვთქვათ იმაზე, რომ დღემდე იგი იყო არაეფექტიანი და საეჭვოა ეფექტიანი იყოს მომავალში“.

ეხებიან რა ამერიკის დელეგაციის პოზიციას ვიეტნამის შესახებ პარიზის მოლაპარაკებაზე, მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ თეთრი სახლი წინანდებურად ხელმძღვანელობს „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკების წარმოების ძველი კონცეფციებით. ამას, კერძოდ, ყურადღებას აპყრობს ჩ. რობერტსი ჟურნალ „ვაშინგტონ პოსტში“. ასეთი პოზიცია, ჩ. რობერტსის აზრით, შემთხვევითი არ არის, რადგან თავის ტელეინტერვიუში „პრეზიდენტმა ნიქსონმა მხოლოდ და მხოლოდ გაიმეორა ყველა თავისი წინანდელი თვალსაზრისი“. თუმცა პრეზიდენტმა ნიქსონმა, აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, თქვა, რომ „უარს ამბობს ცივი ომის რიტორიკაზე“. მეთხუთმეტად ომისა, მისი გამოსვლა მნიშვნელოვან წილად გამსჭვალული იყო სწორედ ცივი ომის სულისკვეთებით.

პ ა ტ რ ი ო ტ თ ა წ ა რ მ ა ტ ე ბ ა

ბანგი, 3 ივლისი. (საკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა ჰიუეს რაიონში სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილში ივნისის ბრძოლების დროს მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 2.300 ჯარისკაცი, მათ შორის 423 ამერიკელი ჯარისკაცი.

გ უ ნ დ ე ს ვ ე რ ი დ ა ნ ა ტ ო

ბონი, 8 ივლისი. (საკდესი). „ბონის საერთო სამხედრო პოლიტიკის“ ძირითადი პრინციპები ბუნდესვერის მეთაურთა შემადგენლობის თათბირის ყურადღების ცენტრში იყო, რომელიც კელნში გაიმართა. თათბირში მონაწილეობდა დასავლეთ გერმანიის არმიის დაახლოებით 150 გენერალი და უმაღლესი ოფიცერი.

არმიის უმაღლეს წევრებთან ერთად თათბირში მონაწილეობდნენ დასავლეთ გერმანიის მთავრობის მინისტრები შმიდტი, ლებერი, სტატს-მდივანი მომზენი. თათბირზე გამოვიდა მომზენი— კონცერნ „ტისენ-რეინიეერკანის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დასავლეთ გერმანიის სამხეიდრო წრეებს მჭიდრო კავშირი აქვთ მონოპოლისტურ კაპიტალთან.

თათბირზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ბუნდესვერისა და ჩრდილოეთ-ატლანტიკური ბლოკის — ნატოს მჭიდრო თანამშრომლობის საკითხებმა. როგორც მოხსენება მოწმობს, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გ. შმიდტმა გააკეთა. ბონის მთავრობა აპირებს კვლავაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ბლოკის სტრატეგიული კონცეფციების განხორციელებაში.

პ რ ა ბ ა პ ა რ ტ ი ზ ა ნ თ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

კაირო, 2 ივლისი. (საკდესი). „ფათხის“ ორგანიზაციის პალესტინელმა პარტიზანებმა წუხელ ცეცხლი დაუშინეს ისრაელის აფიფეფიმის სამხედრო დასახლებას ზემო გალილეაში და მოწინააღმდეგეს მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი, ნათქვამია პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც შენის საგენტომ გადმოსცა.

**29 ივნისს „პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ პარტიზანთა ჯგუფმა ცეცხლი დაუშინა ისრაელთა პოზიციებს დაბა ედფერდავში ხირიის ოკუპ

თბილისის მომავალი

ამას წინათ თბილისში გაიმართა სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახმშენის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ქალაქ თბილისის განვითარების გენერალური გეგმის პროექტი 2000 წლისათვის. აღნიშნულმა პროექტმა მაღალი შეფასება დაიმსახურა და რეკომენდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად გენერალური გეგმის საჭარო განხილვისათვის „თბილქალაქპროექტის" საოქტო დარბაზში მოეწყო გამოფენა.

„კომუნისტის" კორესპონდენტი ესტუმრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. გუხრაშვილს და სთხოვა ჩვენი მკითხველებისათვის მოეთხრო, თუ რა გზით განვითარდება და გაფართოვდება თბილისი მომავალი ოცდაათი წლის განმავლობაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო თბილისის როგორც ინდუსტრიული ქალაქის ზრდა-განვითარება ფართო მასშტაბით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისი რამდენჯერმე გაიზარდა, გალამაზდა, მხრები გაშალა. გაჩნდა ახალი პროსპექტები, ქუჩები, რომლებიც თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგებმა მრავალსართულიანმა შენობებმა დაამშვენა. საბურთალოს, ნავთლუღის, ავჭალისა და ორთაჭალის დაუსახლებელ ადგილებში აშენდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბნები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ძველი ქალაქის ბევრ ქუჩას, დასახლებულ უბანს. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ უკანასკნელ სამ ათეულ წელიწადში ჩვენს დედაქალაქში დიდი საამშენებლო სამუშაოები შესრულდა.

მაგრამ დღეს ორმოცდაათიან წლებში შედგენილი ქალაქის მომავალი განაშენიანების გენერალური გეგმა ვეღარ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნებს. იგი თანამედროვეობის სწრაფ წინსვლას ჩამორჩა და უარყოფით გავლენას ახდენდა ქალაქის დაგეგმარების სტრუქტურაზე, მაგისტრალური ქუჩების სქემის, არქიტექტურულ-მხატვრული იერის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შემუშავებულიყო თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმა მომავალი ოცდაათი წლის განმავლობაში.

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა ახალი ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლების შესაბამისად დაამუშავა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" კოლექტივმა. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის ამ ნაშრომმა განხილისას მაღალი შეფასება მიიღო.

თბილისის გენერალური გეგმის შედგენისას მწავავედ იდგა ბევრი საკითხი, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო ქალაქის მოსახლეობის შემდგომი ზრდის განსაზღვრა. როგორც ცნობილია, თბილისის მოსახლეობის ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადების ქსელის გაფართოება, რომლის ხარჯზე ქალაქის ზრდა განსაზღვრულია 2000 წლისათვის.

მთავარ საკითხს წარმოადგენდა აგრეთვე თბილისის ტერიტორიული გაფართოების მიმართულების არჩევა, საცხოვრებლად მოხერხებული ადგილების გამონახვა, ჯანმრთელობის კერების მოწყობა, მათი ლამაზი განაშენიანება. აი ის ძვესაკითხები, რომლებიც მთავარ საკითხში შედის. მთელი რიგი ვარიანტების შედარების შემდეგ გენერალური გეგმით ძირითადად გათვალისწინებულია, რომ ქალაქი ტერიტორიულად გაიზარდოს თბილისის ზღვის გარშემო მდებარე ტერიტორიის განაშენიანების ხარჯზე. ეს დიდი ფართობია და აქ შესაძლებლობა გვექნება დავასახლოთ 400 ათასზე მეტი მცხოვრები.

თბილისის გენერალური გეგმის ჩამოყალიბების დროს დიდი ყურადღება მიექცა ქალაქის რეკონსტრუქციის საკითხების სწორად გადაწყვეტის საქმეს. სარეკონსტრუქციო ობიექტებად არჩეულია ისეთი უბნები, სადაც განაშენიანების სიმჭიდროვე 20-25 პროცენტის ნაცვლად 60-70 პროცენტს აღწევს. სარეკონსტრუქციო სამუშაოებში იგულისხმება უბნებში ავარიული და უვარგისი სახლების აღება, მათ მაგიერ ახალი ბინების აგება, მაგრამ შენარჩუნებული იქნება სახლები, რომლებიც საცხოვრებლად ვარგისია. ამ უკანასკნელთა აღება გათვალისწინებულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუკი იგი ქალაქმშენებლობის სწორ გადაწყვეტას ხელს უშლის.

დიდი სამუშაოები ჩატარდება თვალსაჩინო ნაგებობათა და დასვენების კერების რეკონსტრუქციისათვის. აქედან აღსანიშნავი „დინამოს" სტადიონის, ზოოპარკის, ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის გაფართოება.

ქალაქის არსებული ცენტრის განაშენიანება ძალიან გადატვირთულია. აქ კონცენტრირებულია მრავალი ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი, სავაჭრო და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა მისი შემდგომი განვითარება. ცენტრის რეკონსტრუქცია ისე, რომ მოლიანად შეეფარნენოთ არქიტექტურულ-მხატვრული სახე, რთულია. რთულია არა მარტო დიდი მატერიალური სახსრების საჭიროების, არამედ ტერიტორიული შეზღუდულობის გამოც. ამიტომ ქალაქის ცენტრის შემდგომი გაფართოება ძირითადად ნაკარუდევია მტკვრის მარცხენა ნაპირზე და თბილისის ზღვის მიდამოების განაშენიანების მიმართულებით. აქ აიგება ახალი სპორტული კომპლექსები, ადმინისტრაციული და სავაჭრო დაწესებულებანი. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კულტურის სახლები, საკონცერტო დარბაზები და სხვ.

გენერალური გეგმით გათვალისწინებულია საწარმოო ზონისა და საცხოვრებელი უბნების მიზანშეწონილი ურთიერთგანლაგება მოხერხებული სატრანსპორტო კავშირით. მოხდება ერთნაირი პროფილის საწარმოთა დაჯგუფება, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ენერგეტიკული, კომუნალური და დამხმარე სამეურნეო საშუალებანი. ნაკარუდევი არსებული განაშენიანებიდან გადატანილ იქნას 19 საწარმო, ხოლო 8 საწარმო შექმნის გაერთიანებებს. პროდუქციის გამოშვების ზრდა ძირითადად მოხდება წარმოების მექანიზაციითა და ავტომატიზაციით, არსებული ტექნიკური ბაზის გადახალისებით შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე. საწარმოები ძირითადად განლაგდება ნავთლუღის და ლილოს რაიონებში, ნაწილობრივ კი ავჭალა-გლდანის ახალ საცხოვრებელ მასივში. ქალაქის განტვირთვის მიზნით დღევანდელი განაშენიანების ფარგლებში არსებული სხვადასხვა საწყობო გარაჟები, საწყობები, საქმიანი ეზოები და სხვ. გადატანილ იქნება საწარმოო ზონებში.

გენერალური გეგმით ქალაქის განაშენიანება მოხდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. აქედან 75 პროცენტი 9-სართულიანი სახლები იქნება, არაუმეტეს 15 პროცენტისა კი — 12-16 სართულიანი. 2000 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართობი 12 კვადრატულ მეტრამდე უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იქნება 1980 წლისათვის ამენდეს 4,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რომლის 25 პროცენტი სარეკონსტრუქციო ზონაში განლაგდება.

გეგმაში გულდასმით არის გადაჭრილი სასკოლო მშენებლობის ამოცანები იმ ვარაუდით, რომ 1980 წლისათვის შესაძლებლობა გვექნეს სასწავლებლები მთლიანად ერთცვლიან სწავლებაზე გადაიყვანოთ.

ჩვენი დედაქალაქის ქუჩებისა და კვანძების არსებული ქსელი, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ უძველეს ქალაქში, ვერ უპასუხებს თანამედროვე ტრანსპორტის განვითარების მოთხოვნებს.

ასეთი მდგომარეობა უკვე შეიქმნა დღეს, როცა სატრანსპორტო ერთეულთა რიცხვი შედარებით მცირეა. გენერალური გეგმით კი სატრანსპორტო ერთეულთა სიდიდე 5-6-ჯერ უნდა გაიზარდოს. ამიტომ ტრანსპორტის ნორმალური მოძრაობის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია შეიქმნას მრავალი ტყე-პარკი, საზოგადოებრივი დანიშნულების ნარგავთა ფართობი 350 ჰექტარიდან 1650 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს. გამეხდება ახალი ბაღები, სკვერები, ხეივნები, რაც საშუალებას მოგვცემს მწვანე ნარგავთა ფართობი დადგენილი ნორმების შესაბამისად ერთ მცხოვრებზე 8 კვადრატული მეტრიდან 20-25 კვადრატულ მეტრამდე გავზარდოთ.

თანამედროვე ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეუბნო ზონის დაგეგმვისა და კეთილმოწყობის საკითხების გადაჭრას ისე, რომ წარმოადგენდეს ქალაქის სტრუქტურის ორგანულ გაგრძელებას. ამიტომ გეგმაში დამუშავებულია ქალაქის საგარეუბნო ზონის პროექტებიც, რომლებშიც შედის საგარეუბნო კურორტები: მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კოჯორი, აგრეთვე დუშეთის სამხრეთი ნაწილი, თეთრი წყაროს რაიონის ნაწილი, თიანეთის რაიონის სამხრეთი ნაწილი, მცხეთის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი.

გენერალური გეგმით დასახული საგარეუბნო ზონა ერთდროულად მოიმსახურება 500 ათასზე მეტ დამსვენებელს.

თბილისი მომავლის ამ დოკუმენტით პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს მშრომელებს უსახავენ შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ახალ პერსპექტივებს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად თვითეული თბილისელის ვალია უკეთ იშრომოს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

„თბილქალაქპროექტის" საპატო დარბაზში თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საჭარო განხილვისათვის მოეწყო გამოფენა, რომელიც უკვე გაიხსნა. დედაქალაქის მშრომელებს შეუძლიათ დაათვალიერონ განაშენიანების ეს ახალი გეგმა, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი და წინადადებანი, რომელთა განხილვა შემდეგ მოხდება.

შ. გუხრაშვილი,
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



განაშენიანება მდინარე ვერაზე. პროექტის ავტორები — რ. გაირამაშვილი და თ. ჯაფარიძე.



საკაკაძის მოედნის რეკონსტრუქცია და განაშენიანება. პროექტის ავტორები — ი. მოსულიშვილი, რ. გაირამაშვილი და ი. ცხომელიძე.



კინოსტუდიის ტერიტორიის განაშენიანება საცხოვრებელი სახლებით. პროექტის ავტორები — მ. გუგუნავა და შ. ყავლაშვილი.



400-მეტრიანი ველოტრეკი 12 ათასი მაყურებლისათვის. პროექტის ავტორი — ი. შოშიტაიშვილი, თანაავტორი ა. მენთეშაშვილი და კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი.

ჩვენი იუბილიანები

შეგვეკითხენ, რეპორტიორებო!

შეკითხვა: კომლის წევრი [illegible] რომელიც ქალაქად გადავიდა [illegible] დმივ სამუშაოზე, ინარჩუნებს თუ არა უფლებას კომლის ქონებაზე?

თ. ჯინჯიხაძე,
თერჯოლა.

პასუხი: კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში. ამ წესის გამოყენება არ ხდება იმ შემთხვევაში, როცა კომლის წევრი არ მონაწილეობდა მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი).

შეკითხვა: სოფლად მომუშავე სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებს და მასწავლებლებს ეძლევათ თუ არა მოხუცებულობის პენსია სრული ოდენობით?

ფ. გოგუა,
ხობი.

პასუხი: ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღმზრდელებსა და პედაგოგებს მოხუცებულობის პენსია ეძლევათ დანიშნული პენსიის 50 პროცენტის ოდენობით, მუშაობის ადგილის მიუხედავად.

პენსიისა და ხელფასის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს თვეში. თუ პენსიისა და ხელფასის საერთო ჯამი აღემატება 300 მანეთს თვეში, მაშინ შესაბამისად შემცირდება გასაცემი პენსიის ოდენობა.

შეკითხვა: შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ გადამიყვანა სხვა თანამდებობაზე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება თუ არა ხელფასის შემცირება?

რ. ჯანაშია,
ქუთაისი.

პასუხი: მუშაკს დაბალხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანის შემთხვევაში წინანდელი ხელფასი ეძლევა ორი კვირის განმავლობაში მისი გადაყვანის დღიდან.

შეკითხვა: პერსონალური პენსიონერები სარგებლობენ თუ არა უფასო განათებით?

ი. ბერეგოვაძე,
ქ. ჭიათურა.

პასუხი: პერსონალური პენსიონერები, რომლებიც ცხოვრობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, საცხოვრებელი ბინის ქირას და კომუნალური მომსახურების (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გათბობა, გაზი) ხარჯებს იხდიან დაწესებული განაკვეთების 50 პროცენტის ოდენობით.

შეკითხვა: კომლის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი ქონება შეიძლება თუ არა გადაეცეს მემკვიდრეებს?

კ. გიორგობიანი,
ონი, სოფელი ღები.

პასუხი: კომლის ქონება თანაბრად ეკუთვნის მხოლოდ მის წევრებს. კომლის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი ქონება არ შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეებს და იგი რჩება კომლის დანარჩენი წევრების გამგებლობაში.

შეკითხვა: ვმუშაობ გორის ბამბის ქსოვილების კომბინატში. ორსულობასთან დაკავშირებით გადამიყვანეს მსუბუქ სამუშაოზე, როგორ ამინაზღაურდება ხელფასი?

ი. ნერგაძე,
გორი.

პასუხი: ბამბის ქსოვილების მრეწველობაში მომუშავე ქალებს, რომლებიც ორსულობასთან დაკავშირებით გადაყვანილი არიან სხვა მსუბუქ სამუშაოზე, ხელფასი ეძლევათ წინანდელი უკანასკნელი ექვსი თვის საშუალო ხელფასის მიხედვით, მათ მიერ ახალ სამუშაოზე გამომუშავების ნორმების შესრულების პროცენტების შესაბამისად.

შეკითხვა: განქორწინების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია თუ არა შრომისუნარო მეუღლე დატოვოს ცალკე დამოუკიდებელ [illegible] **ბ. ფუფუნავა,**
ბათუმი, ხოფ. გონიო.

პასუხი: განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად სასამართლოს შეუძლია ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის თხოვნით მოახდინოს კომლის ქონების გაყოფა, თუ ეს გაყოფა არ ეხება მესამე პირთა უფლებებს.

განქორწინებულ შრომისუუნარო მეუღლეს, რომელსაც დახმარება სჭირდება, უფლება აქვს თავის ყოფილ მეუღლეს მოსთხოვოს სარჩო (ალიმენტი), იმ პირობით, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.

თუ მეუღლენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქორწინებაში, სასამართლოს უფლება აქვს განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ სარჩო (ალიმენტი) გადაახდევინოს იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლეს საპენსიო ასაკი შეუსრულდა არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების დღიდან.

შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ გადასახდელი სარჩოს (ალიმენტის) ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს ყოველთვიურად მტკიცე ფულადი თანხით მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

შეკითხვა: ნაღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის კანონით დაწესებული კუთვნილი დამატებითი სასწავლო შვებულება შეიძლება თუ არა გადატანილ იქნას სხვა დროისათვის?

ბ. ბურჯალიანი,
ოჩამჩირე.

პასუხი: დამატებით სასწავლო შვებულებას აქვს მიზნობრივი დანიშნულება და მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ თავის დროზე (გამოცდების ჩაბარების დროს). საწარმოსა და დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ასეთი შვებულება გადაიტანოს სხვა დროისათვის ან შეცვალოს იგი ფულადი კომპენსაციით.

შეკითხვა: ჩემი ოჯახი, რომელიც შედგება ოთხი წევრისაგან, ცხოვრობს 44 კვადრატული მეტრი ფართობის ბინაში. ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებულ უნდა იქნას სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. გვაქვს თუ არა უფლება ბინა მოვითხოვოთ ამავე რაიონში და იმდენივე ფართობი, რაც ამჟამად გვაქვს დაკავებული?

ბ. ასიტოვი,
თბილისი.

პასუხი: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საცხოვრებელი სახლის აღების შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ იმავე დასახლებული პუნქტის (ქალაქის) ფარგლებში სხვა კეთილმოწყობილი ბინის ფართობის მიღება. მისაცემი ბინის ფართობი არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, რაც გამოსასახლებელ ოჯახს აქვს დაკავებული. მაგრამ თუ ოჯახს აქვს ზედმეტი ფართობი, სხვა საცხოვრებელი ბინა მიეცემა დადგენილი ნორმის მიხედვით, თვითეულ სულზე 12 კვ. მეტრი.

შეკითხვა: დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში საცხოვრებელი ბინა შეიძლება თუ არა გადაფორმებულ იქნას მეუღლის სახელზე?

ნ. დარგინიანი,
რუსთავი.

პასუხი: დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეს შეუძლია საცხოვრებელი ბინის მის სახელზე გადაფორმება, იმ პირობით, თუ იგი გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდა და მასთან ერთად ეწეოდა საერთო საოჯახო მეურნეობას.

შეკითხვა: უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დრო ჩამითვლება თუ არა მუშაობის საერთო სტაჟში, თუ ჩამითვლება, შეიტანება თუ არა ეს დრო შრომის წიგნაკში?

ჯ. მაპავარიანი,
თბილისი.

პასუხი: უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დრო ჩაითვლება მუშაობის საერთო სტაჟში. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დრო უნდა აღინიშნოს ცალკე შრომის წიგნაკში ადმინისტრაციის მიერ.

„კომუნისტის" ახალი ფოსტიდან

☐ **ქუთაისი.** ქუთაისს კიდევ ერთი ახალი ხაშუალო სკოლა შეემატა. ჭავჭავაძის პროსპექტზე ამ დღეებში ხელისლოგატაციოდ გადასცეს რკინიგზის № 23 სკოლის სამხართულიანი შენობა. ეს სათვალავით რკინიგზის მესამე ხაშუალო სკოლაა ქუთაისში.

ახალ სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, სპორტული და ხაქტო დარბაზები, სასწავლო სახელოსნოები. სკოლა უზრუნველყოფილია ახალი სასწავლო ინვენტარითა და დგამ-ავეჯით.

შ. ჯავახიშვილი.

☐ **ბათუმი.** მახინჯაური აჭარის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი კურორტია. აქ ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი ჩამოდის.

ახლახან ამ კურორტს შეემატა კულტურისა და დასვენების პარკი, სპორტული მოედნები. შენდება კაფე-პავილიონი.

ბ. ჩხაიძე.

☐ **ცხაკაია.** ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის საწულეისკირიოს უბანში ღრმა გაბურღვით მწყობრში ჩადგა წყალუხვი არტეზიული შადრევანი. მეურნეობის დირექციამ გადაწყვიტა ეს წყალი მიაწოდოს სოფლის მოსახლეობას — 280-ზე მეტ ოჯახს.

ა. ხალაყაია.

☐ **ჩოხატაური.** სოფელი ზოტი ოცდათხუთმეტი კილომეტრით არის დაშორებული რაიონულ ცენტრს. აქ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს 74 წლის ფოსტალიონი ნ. ირემაძე. მან ალალი შრომით თანასოფლელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ზ. ზოლიძე.

სიგნალები უპოვენტაროდ

● **ცხინვალი.** ამ ქალაქიდან მრავალი ავტობუსი გადის აღმოსავლეთ საქართველოსაკენ. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. იმისათვის, რომ ცხინვალელები შავი ზღვის სანაპიროზე მოხვდნენ, სპეციალურად გორში ან ქარელში უნდა ჩამოვიდნენ, რათა თბილისიდან მიმავალ ავტობუსს გაჰყვნენ. მაგრამ ვაი-თუ ადგილი არ აღმოჩნდა. მაშინ?..

დ. მამიევი, ი. ცხვირაშვილი, დ. მაისურაძე, მ. ალგოროვი, ი. გაგაევი.

● **ახალციხე.** ჩვენთან სადგურის ქუჩაზეა არის ფოსტის დამტარებელი, მაგრამ ზოგჯერ თავის დროზე არ მოაქვს ფოსტა. ხშირად გვაკლებენ გაზეთებს ან შეცდომით სხვისი საფოსტო გზავნილებია ჩვენთან, ჩვენი კი სხვასთან.

ს. სამსონიძე.

● **თელავი.** ერთხანს კარგად მუშაობდა სოფელ გულგულის ბანაო. მცხოვრებლები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მაგრამ დროს თავისი მიაქვს — ბანოს კაპიტალური რემონტი დასჭირდა. ამ საქმის მოსაგვარებლად კოლმეურნეობამ ხელშეკრულება დაუდო და სათანადო თანხაც ჩაურიცხა თელავის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორას, მაგრამ... აი უკვე სამი წელია, რაც ბანაო უპატრონოდ არის მიტოვებული.

ი. ჩხუბიანიშვილი.

გამოუძიებელი წერილების კვალდაკვალ

ფასეგს ამახინჯებენ

სიგნალი, რომელიც რედაქციამ მიიღო, ამხილებდა გარდაბნის რაიონის ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის მუშათა სასადილოს მოსამსახურე პერსონალის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას. კერძოდ, წერილის ავტორები აღნიშნავდნენ, მებუფეტეები ა. სარქისოვი და ბ. გავაშელიშვილი, აგრეთვე მზარეულები თ. ტირკია და ო. ლობჟანიძე უხეშად არღვევენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, ფასებში ატყუებენ მომხმარებელსო.

სიჯანი რედაქციის წარმომადგენელთან ერთად ადგილზე შეისწავლა ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ და გარდაბნის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ. წერილში მოყვანილი ფაქტები არამც თუ დადასტურდა, არამედ სხვა ნაკლოვანებანიც აღმოჩნდა.

შემოწმების დღეს მზარეულ ო. ლობჟანიძეს სადილზე მხოლოდ ერთი დასასხიერი ჭერძი აღმოაჩნდა.

სასადილოში ცუდად არის მოწყობილი პროდუქტების შემოზიდვა.

სწორი იყვნენ მექანიზატორები ა. ჯაფაროვი და ა. ალიევი, რომლებმაც განაცხადეს, აქ სადილები ხშირად უვარგისი პროდუქტებისაგან მზადდებაო. ქამის ხორცი კი წელიწადში ორჯერ თუ გამოჩნდებაო. მათ ისიც აღნიშნეს, რომ მებუფეტეები ა. სარქისოვი და ბ. გავაშელიშვილი ზედმეტს ანდევინებენ კლიენტებს პაპიროსში და სხვა პროდუქტებში.

სასადილოში ანტისანიტარიაა გამეფებული. იქ, სადაც მებუფეტე დგას და პროდუქტებია მოთავსებული აუარებელი ბუზია. ყურადღება არ ექცევა მაგიდების მოსუფთავებას, სასადილოს სულ რამდენიმე ჭიქა აქვს, არც თეფშებია საკმარისად, მაგიდებზე ვერ ნახავთ წყლის ჭურჭელს, ხელსახოც ქაღალდებს, დანა-ჩანგალს,

მომსახურე პერსონალიდან არცერთს წესრიგში არა აქვს სანიტარული წიგნაკები. უფრო მეტიც, მზარეულ ო. ლობჟანიძეს შარშან სექტემბრის შემდეგ არ გაუვლია სანიტარული შემოწმება. სამზარეულოში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს კ. ულიანოვა, რომელიც არ არის ბრძანებით გაფორმებული და, მაშასადამე, არა აქვს სამედიცინო კომისიის დასკვნაც.

აღნიშნული სასადილოს საკითხი ჯერ კიდევ 16 იანვარს განიხილა გარდაბნის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ და სასადილოს გამგე ა. ალიევი გააფრთხილა ძირეულად გარდაექმნა მუშაობა. მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, სასადილოში კი მდგომარეობა არ შეცვლილა. მზარეულები თ. ტირკია და ო. ლობჟანიძე კერძების გაცემისას კვლავ არ იცავენ ჰიგიენურ მარგანტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო, რომლის კოლექტივი ექვსი წელია კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, 1964 წელს დარკვევში გადაიტანეს. საწარმოდაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი სარგებლობდნენ რკინიგზის ბაქნით, სადაც სახალხო მატარებლები ჩერდებოდნენ. აქ ყოველ დილით მატარებლიდან 150 მუშა-მოსამსახურე მაინც ჩამოდიოდა.

ᲕᲘᲐᲜᲝᲣᲠᲘᲡ მარგანტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო, რომლის კოლექტივი ექვსი წელია კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, 1964 წელს დარკვევში გადაიტანეს. საწარმოდაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი სარგებლობდნენ რკინიგზის ბაქნით, სადაც სახალხო მატარებლები ჩერდებოდნენ. აქ ყოველ დილით მატარებლიდან 150 მუშა-მოსამსახურე მაინც ჩამოდიოდა.

ᲩᲥᲐᲚᲘ ᲣᲛᲘᲬᲜᲝᲓ ᲘᲚᲕᲠᲔᲑᲐ

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ იმ ბაღ-ვენახებსა და მინდვრებზე, რომლებიც ბულაჩაურის, ჭოპორტის და ჯიღაურას მახლობლად, არაგვის სანაპიროზეა გაშლილი. შარშან მაგალითად, ჯიღაურას მინდორში ორმოცი ჰექტარი სმინდი გადახმა, რადგან ორი მაგისტრალური არხიდან ერთი, რომელიც სოფელ მიწმენდის თავზე გადადის. წყალს არ ატარებდა საერთოდ უნდა ინქვას, რომ შეუწყნარებლად ჭიანურდებოდა ბულაჩაურის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია.

გავიდა ერთ წელიწადზე მეტი, მაგრამ ბევრგან მდგომარეობა კვლავ უცვლელია. ჯიღაურას ველზე ისევ წყლის ნაკლებობაა, არხის სათავე მცხეთის წყალთა მეურნეობის მუშაკებს ოდნავ გადაუქიქავ-გადმოუქიქავთ. ორი-სამი მილი არხის ზემოთ დაუყრიათ და საქმე მიუტოვებიათ. ამის გამო წელსაც გადახმა 40 ჰექტარი გაზაფხულის ქერი. მომავალ შემოდგომაზე არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობამ ჯიღაურაში ვენახი უნდა გააშენოს, მაგრამ თუ მიმდინარე წლის მარტიდან ბაქანი რატომღაც გაუქმეს და იქ მატარებლებს ადარ აჩერებენ. ერთ კილომეტრზე მეტის გავლა ფეხით გვიხდება და ისიც რკინიგზის ლინდაგზე, რითაც ადამიანის სიცოცხლესაც საფრთხე ექმნება.

მშრომელთა ინტერესები მოითხოვს აღნიშნული ბაქნის კვლავ აღდგენას. ვფიქრობთ, ჩვენს გულისტკივილს გაითვალისწინებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

პირველი შეხვედრები

გასტროლები ვოლგოგრადში

ვოლგოგრადი — სიჭაბუკის, დიდი გმირობის, მამაცობისა და ძმობის სიმბოლო, გმირი ქალაქი რამდენიმე დღეა საქართველოს საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატთა გულითადი მასპინძელია. ადგილობრივი გაზეთები „ვოლგოგრადსკაია პრავდა“ და ახალგაზრდული გაზეთი „მოლოდიო ლენინეცი“ ამ დღეებში ბეჭდავენ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია თბილისელთა გასტროლებზე.

გორკის სახელობის დრამატული თეატრის შენობა, სადაც თბილისის თეატრის გასტროლები მიმდინარეობს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს.

პირველი სპექტაკლი — ფალიაშვილის ოპერა „დაინი“ პირველი სიიმარული იყო როგორც მისი მონაწილეებისათვის, ისე. მაყურებლისათვის. ფარდის გახსნამდე ავანსცენაზე გამოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ვოლგოგრადის კულტურის საქალაქო სამმართველოს უფროსი ნიკოლოზ პანინიჩინი ქალაქის მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა ქართული თეატრის კოლექტივს. მან აღნიშნა, რომ გასტროლები მნიშვნელოვანი მოვლენაა გმირი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. საპასუხო სიტყვით გამოვიდა თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მშვიდლიძე. ორკესტრმა შესრულა სსრ კავშირისა და საქართველოს ჰიმნები. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მთელი წარმოდგენის მანძილზე იგრძნობოდა განსაკუთრებული შთაგონება და ამაღლებულობის გრძნობა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს მთავარი პარტიების შემსრულებლებს მ. ამირანაშვილს, ბ. ფირცხალავას, რ. კაკაბაძეს, ნ. თოდუაძეს, ბ. მურადოვას, დირიჟორ დ. მირცხულავას, ბალეტის სოლისტებს ბ. დვალსა და ბ. გუნაშვილს.

— თეატრის ხშირი სტუმარი გახლავართ, — გვითხრა სპექტაკლის ბოლოს ნ. პანინიჩინმა, — და გამოგიტყდებით, რომ არ მინახავს ასეთი ოვაციები დარბაზში. ეს იყო უმშვენიერესი სანახაობა, რომელიც არასდროს არ დაგვავიწყდება. ვოლგოგრადელები გულწრფელ მადლობას უხდიან ქართველ ხალხს.

გუშინ, 2 ივლისს ვოლგოგრადელებმა ნახეს საბალეტო სპექტაკლი დ. თორაძის „ბორდა“, რომლისადმი ინტერესი წინასწარ დიდი იყო. გაზეთ „ვოლგოგრადსკაია პრავდის“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ჩვენი თეატრის მთავარი ბალეტმეისტერის ბ. ჯაბუშიანის წერილი „საქართველოს ბალეტი“.

ხშირი ტაში წარმოდგენის მსვლელობის დროს და ცოცხალი ყვავილები სპექტაკლის ბოლოს იმის დასტური იყო, რომ „ბორდა“ ძალიან მოეწონათ, მოეწონათ მუსიკა, ქორეოგრაფია, მთავარი როლების შემსრულებლები, მოეწონათ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. ფიცხელაძე ირემას როლში, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. მითაიშვილის ჯავარა, ბ. მონავარდისაშვილის გორდა, ბ. გუნაშვილის თავადი მამა, ცალკე სოლო ცეკვები და ჯგუფური ქორეოგრაფიული ნომრები. მაყურებელი რამდენჯერმე სიყვარულით მიესალმა დირიჟორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ჰროფესორ ვასტანს ფალიაშვილს.

3 ივლისს ვოლგოგრადელებმა ნახეს ბ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალი“.

ლ. კიკნაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ვოლგოგრადი, 3 ივლისი.

* * *

სურათზე: ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფი ვოლგოგრადის დთვალიერებისას.

ფოტო ბ. გოლიშნიკოვისა.

ვოლგოგრადელთა სპექტაკლზე

ВОЛГОГРАДСКИЙ ТЕАТР музыкальной комедии

გუშინ, 3 ივლისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ო. სანდლერისა და ჯ. პლოტკინის სამმოქმედებიანი ოპერეტა „განთიადისას“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გენინი, დირიჟორი რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. მილუშკინი, მხატვარი — ყირგიზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ეგოროვი, ბალეტმეისტერი — ვ. ლიუბიმცევი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ზნამენსკეგის მემორიალი

„სპორტის დედოფალი“ კიევის სტუმარი იყო, აქ ორ დღეს გრძელდებოდა ძმების ზნამენსკების მემორიალი მძლეოსნობაში. ეს ტრადიციული ასპარეზობა წელს მეცამეტეჯერ გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სუდანის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიისა და იუგოსლავიის მძლეოსნები.

საბჭოთა სპორტსმენებისათვის ეს ტურნირი წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან შეხვედრის წინ, რომელიც ნავარაუდევია 23-24 ივლისისათვის ლენინგრადში, აგრეთვე ევროპის თასის გათამაშების წინ ძალთა უკანასკნელ მოსინჯვას.

პირველ დღეს მოსკოველმა ა. ლაზარევა-ოკოროკოვამ სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა შედეგი 187 სანტიმეტრი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა აგრეთვე კიეველმა ე. არეანოვმა, 800 მეტრი მან გაირბინა 1 წუთსა და 45,5 წამში. ზნამენსკების ერთ-ერთი მთავარი პრიზი 5.000 მეტრზე რბენაში მოიპოვა ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა. დრო — 13 წუთი და 47,8 წამი.

კალათბურთის ფართან

გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

2 ივლისს თბილისის სპორტის სასახლეში პაექრობა ჰქონდათ სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს. წარმატება დინამოელებს ხვდათ ანგარიშით 94:80.

გუშინ კი სპორტის სასახლეში თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი, მიმდინარე პირველობის ლიდერი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა კოლექტივი. გიმმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა 95:59.

ნახევარფინალში გავიდნენ

დასასრულს უახლოვდება უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში. ქალთა ერთეულებში პირველი ადგილი დაიკავა ავსტრალიელმა მ. კორტმა. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი ნახევარფინალში გავიდნენ.

მოსკოვის საერთაშორისო

მოსკოვში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. უკვე გათამაშდა შვიდი ტური. ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ანატოლი ლეონი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. საზღვარგარეთელი მოჭადრაკეებიდან სხვებზე უკეთესად გამოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი ფ. ბაუმბახი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ოსტატი ტ. უიტუმენი და უნგრელი გროსმაისტერი კ. ჰონფი, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

სპორტი

კომუნისტი

ერთი ნახევარფინალი — მოსკოვში

ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე 25 ივლისს დანიშნული ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩი გაიმართება მოსკოვში, სადაც დედაქალაქის დინამოელები საკუთარ მოედანზე მიიღებენ საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონებს, კიეველ თანაკლუბელებს. ასე გადაწყვიტა წელისყრამ, რომელიც 1 ივლისს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მოაწყო.

ნახევარფინალის სხვა მონაწილეების — ბაქოს „ნეფტჩისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის ადგილს გამოარკვევს აგრეთვე წელისყრა, რომელიც მოგვიანებით გაიმართება. (საკდესი).

□

ერთადერთი გოლი

გუშინ თბილისში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

ჩემპიონატები და ჩემპიონები

დამთავრდა იუგოსლავიის ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი ადგილი დაიკავა „ცრვენა ზვეზდამ“, რომელმაც 46 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზეა „პარტიზანი“ — 44 ქულა.

ავსტრიის ჩემპიონი ფეხბურთში გახდა „აუსტრიის“ საკუთრ გუნდი — 45 ქულა.

მეორეხარისხოვანი ზედიზედ პოლონეთის ჩემპიონობა ფეხბურთში მოიპოვა „ლეგიამ“.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 4 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	13	8	3	2	23-7	19
„დინამო“ (მ.)	13	8	3	2	21-6	19
„დინამო“ (კ.)	13	8	2	3	16-9	18
„დინამო“ (თბ.)	13	6	5	2	19-8	17
სკა (როსტ.)	13	5	6	2	10-6	16
„ტორპედო“ (მ.)	13	5	5	3	14-12	15
„არარატი“ (ერ.)	13	6	3	4	11-9	15
„ნეფტჩი“ (ბ.)	14	4	6	4	12-9	14
„ზარია“ (ვ.)	14	4	6	4	7-12	14
„სპარტაკი“ (მ.)	13	3	7	3	19-14	13
„ტორპედო“ (ქ.)	13	2	7	4	7-10	11
„ჩერნომორ.“ (ო.)	14	3	5	6	9-13	11
„პახტაკორი“ (ტ.)	13	3	4	6	8-23	10
„დინამო“ (მნ.)	13	2	5	6	11-16	9
„ზენიტი“ (ლ.)	13	3	3	7	13-20	9
„შახტიორი“ (დ.)	13	2	5	6	9-20	9
„სპარტაკი“ (ორჯ.)	13	0	5	8	8-23	5

ცნობათა კუთხე

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით (დღის დასწრებული) სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის დასწრებული

1. აგრონომიული, 2. აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, 3. მცენარეთა დაცვა, 4. აგრომელიორაცია, 5. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, 6. მეაბრეშუმეობა, 7. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 8. საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, 9. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), 10. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, 11. მედვინეობის ტექნოლოგია, 12. საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია, 13. სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები), 14. ჰიდრომელიორაცია.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ

ა) აგრონომიაში, მცენარეთა დაცვის, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე: ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) სოფ. მეურნ. ეკონომიკა და ორგანიზაცია და საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობის საწარმოებში სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

გ) სატყეო-სამეურნეო, მედვინეობის ტექნოლოგიისა და საკონსერვო წარმოების სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

დ) სოფ. მეურნ. მექანიზაციის, სოფ. მეურნ. ელექტროფიკაციის და ჰიდრომელიორაციის სპეციალობებზე: მათემატიკა* (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას ქართული სექტორი — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსული სექტორი — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით.

აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგანში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა სხვა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

დასწრებულ სწავლებაზე უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი სასწავლებლად არჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის: 1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმოდაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო დასწრებულ სწავლებაზე შემსვლელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულს — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთა — სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა, 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან (სადაც ასეთი არ არის, შემცვლელი საბუთებიდან), რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით, 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარადგენენ: პასპორტს, და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე, მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში — თბილისი—31, დოღომი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ავტობუსი № 27 და 54.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

დასწრებული სწავლების განყოფილება

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე ა) სწავლული აგრონომის სპეციალობით (ქართული და რუსული სექტორები), ბ) სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სწავლული აგრონომ-მელიორატორის სპეციალობით (ქართული სექტორი). გ) სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით (ქართული სექტორი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ხილბოსტნეულის დაკონსერვების ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

ინსტიტუტში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ არჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა), ბიოლოგია (წერა). 2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (წერა), ქიმია (წერა). 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა). ყველა შემსვლელი აბარებს დაოცდას (როგორც არა მაპროფილებელ საგანში) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელიც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ: 1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ბიოლოგიაში (წერა) 2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკა (წერა) 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკა (წერა, ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალოსანი ან წარჩინების მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩააბარებს მაპროფილებელ საგანში „ფრიადზე“, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდებისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“, გამოცდას აბარებს ყველა საგანში საერთო წესით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად, ინსტიტუტში ჩარიცხვა კი 1970-1971 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება აბიტურიენტის მიერ შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაეცემული საშუალო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობისაგან. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ, რომელშიც აღნიშნულია დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან უმაღლეს სასწავლებლში გაგზავნილმა პირმა დამტკიცებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მივლინების შესახებ. 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5) ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, ყოველდღე გარდა კვირისა 10 საათიდან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში: სოხუმი, კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ტროლეიბუსი № 2 და 3, ავტობუსი № 1, 4, 13 და 14.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

ინსტიტუტში შემომსვლელთათვის მოგწყობა მისაღები გამოცდები: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (წერა) და ქიმიაში (წერა). რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში (ზეპირი), ფიზიკაში (წერა) და ქიმიაში (წერა).

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები ან საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ საგანში ფრიადი შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო კარგი ან დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ. 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, შუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად. ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადებები მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. **განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:** 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ან ბოლო სამუშაო ადგილიდან, 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან (სადაც ასეთი არ არის, შემცვლელი საბუთებიდან), რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. საბჭოთა მეურნეობის მუშები მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ. ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადება მიიღება 30 ივლისამდე ყოველდღე გარდა კვირადღისა 12 საათიდან 3 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. ავტობუსი № 23.

ქუთაისის სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია, 2. საავეჯო წარმოება, 3. ცელულოზისა და ქაღალდის წარმოება, 4. საავტომობილო გზების მშენებლობა და ექსპლოატაცია, 5. ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამუშავებელი მრეწველობის დაგეგმვა, 6. საბუღალტრო აღრიცხვა, 7. დაგეგმვა სატყეო მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში.

მიღების წესები: პირველ და მეორე კურსებზე (დასწრებული განყოფილება) და მესამე კურსზე (დაუსწრებელი განყოფილება) ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. ეს პირთათვის, რომლებმაც დაამთავრეს სპეციალური საშუალო სასწავლებელი, საგალდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმათ, ვინც მოხვდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის გამოშვების 50%-ში ან საშუალო განათლება მიიღო წარმოებისაგან მოწყვეტლივ.

პრფფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე მიიღებიან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მიღებებს გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების სპეციალობისათვის) ზეპირი.

განცხადებები მიიღება 5 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები — 5 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით და სტიპენდიით თანახმად არსებული ინსტრუქციისა.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. აგრმბიოგრაფია, 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 4. სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3×4, გადაღებული უქუდოდ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 6. ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, 7. შრომის წიგნაკის ამონაწერი, დამოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ (კოლმეურნეობის წევრებისათვის საკოლმეურნეო შრომის წიგნაკის ამონაწერი, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მიერ). აღნიშნულ ცნობას ადგენენ ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, 8. სამხედროვალდებულნი სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას ადგენენ პირადად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმის დირექტორს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი № 88, ტელეფონი 5-81-91 ან 5-47-10.

ვინ რას მოიგებს

1970 წლის 4 ივლისს ქ. მოსკოვში შედგა დოსაფის V ლატარიის 1 გამოშვების ბილეთების მოგებათა ტირაჟი.

გათამაშების ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთებში: „ტრუდ“-ში, „სელსკაია ჟიზნ“-სა და „სოვეტსკი პატრიოტ“-ში 1970 წლის 14-15 ივლისს.

დოსაფის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

გორჯომის სატყეო ტექნიკუმი

აცხადებს 1970-71 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას სატყეო-სამეურნეო და ნადირთმცოდნეობა-ნადირთმოუფლების სპეციალობებზე:

სატყეო-სამეურნეო და ნადირთმცოდნეობა-ნადირთმოუფლების სპეციალობის პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. სატყეო-სამეურნეო სპეციალობის მეორე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სწავლის ხანგრძლივობა პირველ კურსზე შემსვლელთათვის 3 წელი და 6 თვე, ხოლო მეორე კურსზე შემსვლელთათვის 2 წელი და 6 თვე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს პირველ კურსისათვის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართული ენა (წერა-შინაარსი), მათემატიკა (ზეპირი).

მეორე კურსზე შემსვლელთათვის 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება), ქიმია (ზეპირი).

განცხადებები მიიღება პირველ კურსზე შემსვლელებისაგან 31 ივლისამდე ჩათვლით, ხოლო მეორე კურსზე შემსვლელებისაგან 15 აგვისტომდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე, არჩეული სპეციალობების ჩვენებით და შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286, 3. 3 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ), 4. დაბადების მოწმობა, 5. პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟის მქონე პირებმა უნდა წარმოადგინონ კოლმეურნეობის ან წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელის მიერ შემოწმებული ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: რვაწლიანი და საშუალო სკოლის ფრიადოსნები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელებით, ოქროსა და ვერცხლის მედლებით. ტექნიკუმში შემსვლელნი პირადად ადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფ